

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №95

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ქ. თბილისში, 28 თებერვალი, 2023 წ.

ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის გიორგი მუმლაძის სახით (შემდგომში – “შემსყიდველი”) და მეორეს მხრივ, სს რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯია, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის კახაბერ ამალაშვილის სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 30 იანვრის №313 თანხმობის წერილის (№SMP230000591) საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„შემსყიდველმა“ „მიმწოდებლისგან“ მიიღო წინადადება კლასიფიკატორის (CPV) კოდით - 66510000 - ბიუროში დასაქმებულ თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრთა დაზღვევის მომსახურების შესყიდვა, საერთო თანხით 26954.42 (ოცდაექვსი ათას ცხრაას ორმოცდაათოთხმეტი ლარი და ორმოცდაორი თეთრი) ლარი დღგ-ის გარეშე (შემდგომში - „ხელშეკრულების ღირებულება“).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.
2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადაში და ფორმით.
4. დაფინანსების წყარო: 2023 წლების საკუთარი სახსრები.
5. მიმწოდებელი, წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და ტარიფების გათვალისწინებით, შემსყიდველს გაუწევს სადაზღვევო მომსახურებას 2023 წლის 1 მარტიდან - 2023 წლის 31 მარტის ჩათვლით - დანართები N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8, N9, N10 და N11 შესაბამისად;
6. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ორმხრივი ხელმოწერიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების დასრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2023 წლის 31 დეკემბრისა.
7. ხელშეკრულებას თან ერთვის ხელშეკრულების დანართი №1 - ტექნიკური დავალება; დანართი №2 - ფასების ცხრილი, დანართი №3 - დაზღვევის სტანდარტული პაკეტი, დანართი №4 - დაზღვევის პაკეტი N1, დანართი №5 - დაზღვევის პაკეტი N2, დანართი №6 - ინფორმაცია, პროვაიდერი კლინიკების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, დანართი №7 - ინფორმაცია, პროვაიდერი კლინიკების შესახებ რეგიონში, დანართი №8 - ინფორმაცია, პროვაიდერი სტომატოლოგიური კლინიკების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, დანართი №9 - ინფორმაცია, პროვაიდერი სტომატოლოგიური კლინიკების შესახებ რეგიონებში, დანართი №10 - ინფორმაცია, პროვაიდერი ავთიაქების ქსელის შესახებ, დანართი №11 - ინფორმაცია, სასწრაფო სამედიცინო დახმარების შესახებ, რაც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
8. ხელშეკრულება შედგენილია 37 გვერდზე და დამოწმებულია ელექტრონული ფორმით ორივე მხარის მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №84
ტელ: (995 32) 2 25 84 84
ელ. ფოსტა: info@expertiza.gov.ge
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
სახაზინო კოდი: 707767126
ს/კ 204852089

„მიმწოდებელი“
სს რისკების მართვისა და სადაზღვევო
კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯია
მის: ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას ქ, N5
ტელ: 250 00 01, 577 000 760
ელ. ფოსტა: info@benefits.ge
მიმღები ბანკი: სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE45BG000000040187100
ს/კ 404526777

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მუმლაძე

გენერალური დირექტორის
კახაბერ ამალაშვილი

ხელშეკრულების საერთო პირობები

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები.

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
- 1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”/“დამზღვევი”) - ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4 “მიმწოდებელი”/“მზღვევი” - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.5 „დაზღვეული“/“თანამშრომელი“ - “შემსყიდველთან”/“დამზღვევთან” შრომით ურთიერთობაში მყოფი პირი.
- 1.6 “დღე”, “კვირა”, “თვე” - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 2.1 შემსყიდველს ან მის შესაბამის უფლებამოსილ წარმომადგენელს (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, პერიოდულად განახორციელონ მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

3. მომსახურების გაწევის პირობები და ადგილი

- 3.1 მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადებში გაუწიოს შემსყიდველს საკონსულტაციო მომსახურება, განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და გასცეს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, რომელიც დაკავშირებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მომსახურებასთან;
- 3.3 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა დანართები N6, N7, N8, N9 და N10-ით გათვალისწინებულ მისამართებზე.
- 3.4 საჭიროების შემთხვევაში სადაზღვევო მომსახურებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდებაზე მიმწოდებლის მხრიდან პასუხისმგებელ პირ(ებ)ს წარმოადგენს: საბაზისო პაკეტით სარგებლობის შემთხვევაში - ნონა ცეცხლაძე ntsetskhladze@benefits.ge; +995591539393; პაკეტი N1 და N2 სარგებლობის შემთხვევაში - თამარ დოკვაძე tdokvadze@benefits.ge; +995591099393.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

- 4.1.1 ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
- 4.1.2 მოსთხოვოს მიმწოდებელს, სადაზღვევო მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულებისა და წინამდებარე ხელშეკრულების დანართებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- 4.1.3 სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს „მიმწოდებლის“ მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით;
- 4.1.4 საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი - სადაზღვევო პოლისი/ბარათი.
- 4.1.5 მოითხოვოს „მიმწოდებლის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით, დაზღვევის პირობებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და განუხრელი შესრულება.

4.2. შესმსყიდველი ვალდებულია:

- 4.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
- 4.2.2 სრულად და სწორად მიაწოდოს მიმწოდებელს (მათ შორის ელ. ფორმით - Excel ცხრილის სახით) ინფორმაცია მომსახურების გაწევისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების შესახებ (ინფორმაცია დასაზღვევი თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრების შესახებ.).

- 4.2.2 ჯეროვნად შეასრულოს მასზე წინამდებარე ხელშეკრულებითა და მისი დანართებით დაკისრებული ვალდებულებები.
- 4.2.3 სადაზღვევო მომსახურებით სარგებლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (სადაზღვევო პოლისი/ბარათი) არ გადასცეს სხვა პირს სადაზღვევო მომსახურების მისაღებად.
- 4.2.4 დაზღვეულთა სიაში შესატანი ცვლილილებების შესახებ აცნობოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ვადებში. „მიმწოდებლის“ მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს მას თანამშრომელთა დანიშვნისა და განთავისუფლების ბრძანებები და სხვა საჭირო დოკუმენტაცია;
- 4.2.2 ხელი არ შეუშალოს მიმწოდებლის მიერ სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული მონაცემების მოკვლევა-მოძიებას.
- 4.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
- 4.3.1 მოსთხოვოს „შემსყიდველს“ მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
- 4.3.2 მოსთხოვოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.
- 4.3.3 მოსთხოვოს შემსყიდველს დაზღვევის ხელშეკრულების დადებისათვის საჭირო ინფორმაციის წარდგენა მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის შეთანხმებული ფორმით.
- 4.3.4 არ ანაზღაუროს ის ხარჯი, რომელიც არ არის გათვალისწინებული დაზღვევის პირობებით.
- 4.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- 4.4.1 უზრუნველყოს დაზღვეულთა ჯანმრთელობის დაზღვევა წინამდებარე ხელშეკრულების დანართში N1 (ტექნიკური დავალება) მითითებული პირობების განუხრელი დაცვით.
- 4.4.2 წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ გადასცეს შემსყიდველს დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი - დაზღვევის პოლისი.
- 4.4.3 გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებისა და მისი დანართების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებასა და მის დანართებში;
- 4.4.4 დროულად და სრულად გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვეულზე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
- 4.4.5 სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაზე უარის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი (ელ-ფოსტით და მოთხოვნის შემთხვევაში ბეჭდვითი) ფორმით ამცნოს დაზღვეულს თავისი გადაწყვეტილების შესახებ კონკრეტული და დეტალური მიზეზების აღწერით, საბუთების ჩაბარებიდან, ან მიმართვიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 4.4.6 ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებითა და დაზღვევის თანდართული პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი მიწოდებულად ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ, მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ორმხრივი ხელმოწერის შემდეგ.
- 5.2 ყოველი საანგარიშო თვის დასრულებისას მხარეთა შორის ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს ბიუროს მხრიდან ხელს აწერს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი - თამარ მელაშვილი ან/და ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს უფროსი - ხათუნა ბერიძე.

6. ანგარიშსწორება

- 6.1 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო (გადარიცხვა).
- 6.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში.
- 6.3 ბიუროს მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბაზისო პაკეტის შესაბამისად ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, ყოველთვიურად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ ინვოისის გამოწერისა და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის შემდგომ, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. ინსპექტირებისთვის საჭირო ვადები არ ჩაითვლება ვადაგადაცილებად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას.

6.4 საოჯახო დაზღვევისას ან/და ოჯახის წევრების ინდივიდუალური დაზღვევისას, ასევე გაუმჯობესებული სადაზღვევო პაკეტების შექმნისას, დამატებით წარმოშობილი მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას უზრუნველყოფს თავად ბიუროს თანამშრომელი, რომლის ორგანიზებას განახორციელებს ბიურო.

6.5 დაფინანსების წყარო: 2023 წლების საკუთარი სახსრები.

7. ფასები

7.1 სადაზღვევო პაკეტის ერთეულის ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართში №1, №2, №3, №4 და №5, რომლებიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

8.3 დაზღვეულ პირთა სიაში პიროვნებების დამატება ან სიიდან ამოღება მოხდება ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიწოდებული ინფორმაციის სახით (Excel ცხრილების), რომელზეც წინასწარ შეთანხმდებიან მხარეები. შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენს ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს უფროსი - ხათუნა ბერიძე (kberidze@expertiza.gov.ge) , ხოლო მიმწოდებლის მხრიდან სიისა და ინფორმაციის მომთხოვნ პირს წარმოადგენს - [თინათინ ჯავაშვილი \(tjavashvili@benefits.ge\)](mailto:tjavashvili@benefits.ge).

დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

8.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

8.5 ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის ახალი ხელშეკრულებით წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

არც ერთ მხარეს მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ აქვს უფლება გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები მესამე პირებს.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე;

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივ, არაჯეროვნად ან ვადის დარღვევით შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, თითოეულ ფაქტზე, ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, რომლის დაქვითვაც მოხდება შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან;

- 11.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით განსაზღვრული ვადების დარღვევისათვის, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, ხელშეკრულების ღირებულების 0,02% ოდენობით;
- 11.3 იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის 12.1 ან 12.2 პუნქტებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა აღემატება ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

- 12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
- (ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს მთლიანი მომსახურების ან მისი ნაწილის გაწევა;
 - (ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება (მათ შორის დამატებით განსაზღვრულ ვადაში).
- 12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 12.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
- ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
 - ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
 - გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 12.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ შემსყიდველი დაარღვევს ხელშეკრულების პირობებს/ვალდებულებებს.
- 12.5 წინამდებარე ხელშეკრულების მე-12 მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული მომსახურების ღირებულება.

13. ფორს-მაჟორი

- 13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
- 13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
- 13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადავო საკითხების გადაწყვეტა

- 14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა დონე უნდა იხმაროს, რათა მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოავგარონ წინამდებარე ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა.
- 14.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. შეტყობინება

15.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილობით ან ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

ტექნიკური დავალება

სადაზღვევო მომსახურება

1. ზოგადი პირობები

- 1.1. სადაზღვევო ლიმიტით სარგებლობს თანამშრომელი და დაზღვევის საოჯახო პაკეტის შემთხვევაში, მისი ოჯახის თითოეული წევრი (მეუღლე - ასაკის შეუზღუდავად და არასრულწლოვანი შვილი ან/და შვილები) უწყვეტი 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში;
- 1.2. ტექნიკურ დავალებაში მოცემული მომსახურება უნდა განხორციელდეს დაზღვეულის მოთხოვნის მიხედვით, საქართველოში მოქმედ ნებისმიერ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში;
- 1.3. ჯანმრთელობის პოლისით დასაზღვევი თანამშრომლების რაოდენობა შეადგენს 478 პირს, პაკეტის არჩევის ტიპი თავისუფალი:
 - საბაზისო პაკეტი
 - პაკეტი N1;
 - პაკეტი N2;
- 1.4. თანამშრომელთა დაზღვევა უნდა განხორციელდეს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა);
- 1.5. თანამშრომლები, რომლებიც გათავისუფლდებიან დაკავებული თანამდებობიდან, სადაზღვევო მომსახურება შეუწყდება მზღვეველის მიერ დამზღვევ კომპანიისთვის მიმართვიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა;
- 1.6. ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, არჩეული სადაზღვევო პოლისის ან/და სადაზღვევო სქემის (ინდივიდუალური/საოჯახო) ცვლილება შესაძლებელია ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში. ამავე ვადაში შესაძლებელია უკვე არჩეული მაღალი სადაზღვევო პაკეტის გაუქმება და დაბალი/საბაზისო პაკეტის არჩევა, თუკი აღნიშნულ პერიოდში დაზღვეულს არ აქვს გამოყენებული სადაზღვევო მომსახურება.
- 1.7. დაზღვეული თანამშრომლის დაოჯახების ან/და შვილის შექმნის შემთხვევაში ოჯახის წევრის დაზღვევა შესაძლებელია დაოჯახებიდან/შვილის შექმნიდან 1 თვის ვადაში.
- 1.8. დასაშვებია პრეტენდენტებმა განახორციელონ გაუმჯობესებული მომსახურების შემოთავაზება, როგორც ელექტრონული ტენდერის ასევე ხელშეკრულების მიმდინარეობის პერიოდში.
- 1.9. მზღვეველი ვალდებულია დაზღვეული თანამშრომლის სურვილის შემთხვევაში, წინამდებარე ტექნიკური დავალებით განსაზღვრული (გარდა ორსულობა/მშობიარობა) პირობის დაცვით, განახორციელოს მისი 18 დან 25 წლამდე შვილების დაზღვევა - ინდივიდუალური პრემიის გადახდის საფუძველზე;
- 1.10. დაზღვევის მოქმედების პერიოდში თუ დაზღვეულის ოჯახის არასრულწლოვან წევრს შეუსრულდა 18 წელი, იგი გააგრძელებს სარგებლობას არსებული ოჯახის წევრის დაზღვევით.
- 1.11. საოჯახო დაზღვევისას ან/და ოჯახის წევრების ინდივიდუალური დაზღვევისას (მათ შორის 18-25 წლამდე შვილის), ასევე გაუმჯობესებული („პაკეტი N1“ და „პაკეტი N2“ სადაზღვევო პაკეტები) სადაზღვევო პაკეტების შექმნისას, დამატებით წარმოშობილი მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას უზრუნველყოფს თავად ბიუროს თანამშრომელი (დაზღვეული თანამშრომლის მოთხოვნის საფუძველზე, ბიურო ყოველთვიურად მოახდენს სადაზღვევო პრემიის დაკავებას ხელფასიდან და უზრუნველყოფს მის გადარიცხვას მზღვეველის ანგარიშზე).
- 1.12. საოჯახო პაკეტისათვის განსაზღვრული სადაზღვევო პრემია უნდა შეადგენდეს შესაბამისი ინდივიდუალური სადაზღვევო პაკეტის ღირებულების არაუმეტეს 320%-ს.

2. ლიცენზირებული პროვაიდერი კლინიკების მინიმალური რაოდენობა:

- 2.1. **თბილისი** - არანაკლებ 5 კლინიკა, თითოეულში ყოველდღე, შაბათის ჩათვლით, არანაკლებ 1 ოჯახის ექიმის მომსახურებით, არანაკლებ 35 ამბულატორიული მომსახურების ცენტრი; არანაკლებ 15 ჰოსპიტალური მომსახურების ცენტრი; არანაკლებ 5 სამშობიარო კლინიკა; არანაკლებ 3 თვალის კლინიკა; არანაკლებ 20 სტომატოლოგიური კლინიკა. (დასაშვებია განსხვავებული სამედიცინო

პროფილის/მიმართულების ფარგლებში შემოთავაზებული იქნეს ერთიდაიგივე მულტიპროფილური პროვაიდერული კომპანიები).

- 2.2. შემდეგ ქალაქებში:** ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, ახალციხე, რუსთავი, გორი, თელავი და გურჯაანი - არანაკლებ 1 კლინიკა თითოეულში ყოველდღიურად არანაკლებ 1 ოჯახის ექიმის მომსახურებით, არანაკლებ 1 ამბულატორიული მომსახურების ცენტრი, არანაკლებ 1 ჰოსპიტალური მომსახურების ცენტრი, არანაკლებ 1 სამშობიარო კლინიკა (გურჯაანის გარდა), არანაკლებ 1 ოფთალმოლოგი (რომელიც არ იქნება ამავდროულად ოჯახის ექიმი), არანაკლებ 1 სტომატოლოგიური კლინიკა, არანაკლებ 1 პედიატრი (რომელიც არ იქნება ამავდროულად ოჯახის ექიმი).

***შენიშვნა:** იმ შემთხვევაში თუ მზღვეველს არ ჰყავს შესაბამის რეგიონში პროვაიდერი სტომატოლოგიური კლინიკა, თავისუფალი არჩევანით არაპროვაიდერ სტომატოლოგიურ კლინიკაში მიღებული მომსახურების ანაზღაურება მოხდება პროვაიდერ სტომატოლოგიურ კლინიკაში მიღებული მომსახურებისათვის განსაზღვრული ლიმიტით და თანაგადახდით.

3. დაზღვევა უნდა ითვალისწინებდეს:

- 3.1. ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებული დაავადებების მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას, გამონაკლისებში ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა;
- 3.2. დაზღვეულის მიერ გაკეთებული თავისუფალი არჩევანის საფუძველზე, გაწეულ მომსახურებებს და წარდგენილ დოკუმენტაციაში დაფიქსირებული ფასებით, თანხის ანაზღაურებას - შესაბამისი სერვისის ლიმიტის და თანაგადახდის ფარგლებში.
- 3.3. ხელშეკრულების დადების მომენტიდან, ორსულობის ნებისმიერ ეტაპზე ორსულთა დაზღვევას და ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას.
- 3.4. ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (Covid-19) და მისი გართულებების შემთხვევაში, როგორც გადაუდებელი ასევე გეგმიური შემთხვევებისას იმ მომსახურებების/ჩარევების ანაზღაურებას, რომელიც არ ფინანსდება სახელმწიფო/რეგერალური პროგრამ(ებ)ით და შესაბამისობაშია მართვის სახელმწიფო სტანდარტებთან/პროტოკოლებთან (ანაზღაურება უნდა განხორციელდეს შესაბამისი მომსახურებისათვის განკუთვნილი ლიმიტის და თანაგადახდის ფარგლებში).

4. სამედიცინო მომსახურების მიღებისა და თანხის ანაზღაურების პირობები

- 4.1. კონსულტაციებთან, მედიკამენტებთან, გამოკვლევებთან და სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით, ოჯახის ექიმის მიმართვის აღება/გაცემა - შესაძლებელი უნდა იყოს როგორც სატელეფონო, ასევე სხვა საშუალებებით განაცხადის გაკეთებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო საათისა, გარდა კვირა დღისა, კერძოდ:

- სამუშაო დღეებში - 09:00_დან 21:00_მდე;
- შაბათ დღეს - 10:00_დან 14:00_მდე.

- 4.2. პროვაიდერ კლინიკაში ზოგადი პროფილის ექიმის კონსულტაციასთან დაკავშირებით პირველად მიმართვისას (იმ შემთხვევაში, როდესაც პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით არ არის გაცემული ცნობა - ფორმა №IV-100/ა, რომელშიც მითითებულია კონსულტაციის საჭიროების შესახებ) დაზღვეული უკავშირდება მიმწოდებლის ქოლ ცენტრს. მიმწოდებელი უზრუნველყოფს სამედიცინო დაწესებულებისათვის შესაბამისი მომსახურების ხარჯის ანაზღაურების დადასტურებას. შესაბამისად, დაზღვეული გადაიხდის მხოლოდ მომსახურების ღირებულების იმ ნაწილს, რომლის ანაზღაურებაც არ არის გათვალისწინებული სადაზღვევო პოლისით.

ელექტრონული მიმართვით სარგებლობა: იმ შემთხვევაში თუ დაზღვეულს აქვს უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული (ექიმის ტიტულოვანი ფურცელი) დიაგნოზი და დანიშნულება ან/და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით შევსებული, მომსახურე დაწესებულების ბეჭდითა და ექიმის ხელმოწერით დადასტურებული ფორმა #IV-100 მომსახურების მიღებამდე დაზღვეული აგზავნის მოთხოვნას ელექტრონულად ელ.ფოსტაზე: assistance@benefits.ge. სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად დადასტურების საფუძველზე მზღვეველი უზრუნველყოფს კონკრეტულ პროვაიდერ სამედიცინო დაწესებულებაში ელექტრონული მიმართვის გადაგზავნას მოთხოვნის მიღებიდან მაქსიმუმ 2 (ორი) სამუშაო საათის განმავლობაში.

ელექტრონული მიმართვის საფუძველზე (სადაზღვევო ბარათისა და/ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში) დაზღვეული იხდის მხოლოდ მის წილად გადასახდელ თანაგადახდის თანხას (თუ ასეთს შესაბამისი სადაზღვევო ბარათი ითვალისწინებს) და სამედიცინო მომსახურების ღირებულების დარჩენილი თანხის გადახდისაგან სრულად თავისუფლდება.

- 4.3. სამედიცინო დაწესებულებებში გამოკვლევებისათვის ან/და ფორმა №IV-100/ა - ით გათვალისწინებული დამატებითი კონსულტაციებისათვის - ოჯახის ექიმის ელექტრონული მიმართვის მისაღებად, შესაძლებელი უნდა იყოს, დაზღვეულმა, შესაბამისი ქოლ-ცენტრის, სერვისის მენეჯერის ან/და ელექტრონული ფოსტის მზღვეველის მიერ მითითებულ მისამართზე, გააგზავნოს ფორმა №IV-100/ა (დასკანერებული/ფოტოსურათი), რის შემდგომაც, განაცხადის მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო საათის განმავლობაში, ოჯახის ექიმი გააგზავნის ელექტრონულ მიმართვას კონკრეტულ პროვაიდერ სამედიცინო დაწესებულებაში. აღნიშნული მიმართვის საფუძველზე, დაზღვეული გადაიხდის მხოლოდ მომსახურების ღირებულების იმ ნაწილს, რომლის ანაზღაურებაც არ არის გათვალისწინებული სადაზღვევო პოლისით.
- 4.4. ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტების გამოწერისათვის ან/და ოჯახის ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტის დოზის ცვლილებისათვის ან ახალი მედიკამენტის გამოწერისათვის, დაზღვეული ელექტრონული ფოსტის/ტელეფონის მეშვეობით უკავშირდება ოჯახის ექიმს. ამის შემდეგ, განცხადების მიღებიდან არაუმეტეს 2 (ორი) სამუშაო საათისა, ოჯახის ექიმი გამოწერს ელექტრონულ რეცეპტს, რომელიც ინტეგრირდება საფთაიქო პროგრამაში, რის თაობაზეც სმს სერვისით ეცნობება დაზღვეულს. დაზღვეულს, ოჯახის ექიმთან ვიზიტის გარეშე, პირადი ნომრის/სადაზღვევო პოლისის წარდგენის საფუძველზე, შეეძლება თანაგადახდით შეიძინოს მედიკამენტი.
- 4.5. სადაზღვევო პაკეტით გათვალისწინებული ყველა მომსახურების ხარჯი (გარდა საინფორმაციო სამსახურისა და პირადი/ოჯახის ექიმისა) მზღვეველმა უნდა აანაზღაუროს დაზღვეულის მიერ ნებისმიერ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში (დაზღვეულის არჩევით) სამედიცინო მომსახურების მიღებისას.
- 4.6. მომსახურების ხარჯების ანაზღაურდება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, დაზღვეულის მიერ მზღვეველისთვის მიწოდებულ საბანკო ანგარიშზე.
- 4.7. მზღვეველის პროვაიდერ კლინიკებში მიმართვისას დაზღვეული იხდის მხოლოდ მომსახურების იმ ნაწილს, რომელსაც ითვალისწინებს თანაგადახდა (მაგალითად, თუ კონკრეტული მომსახურების მიღებისას მზღვეველი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების ღირებულების 80%, მაშინ პროვაიდერ კლინიკებში მიმართვისას დაზღვეული იხდის მხოლოდ მიღებული მომსახურების ღირებულების 20%-ს).
- 4.8. არაპროვაიდერ კლინიკებში მიმართვისას, მომსახურების მიღების შემდეგ 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში წარუდგინოს მას შესაბამისი დოკუმენტაცია.
- 4.9. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა ხორციელდება პირად სივრცეში (მობილური აპლიკაცია ან/და ვებ. პორტალის პირადი სივრცე) დოკუმენტაციის ატვირთვისას, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი დოკუმენტის მიღებიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღეში.
- 4.10. ელექტრონულად გადმოგზავნილი დოკუმენტაციის შემთხვევაში დაზღვეულმა ორიგინალი დოკუმენტაცია უნდა შეინახოს 6 (თვე) თვის განმავლობაში.
- 4.11. თანხის ანაზღაურებისათვის, მზღვეველის მიერ შეიძლება მოთხოვნილი იქნას შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენა:
 - ა) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ფორმა №IV-100/ა ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სამკურნალო დაწესებულებიდან მკურნალობის მომსახურების მიღებას (დაზღვეული არ არის ვალდებული ფორმა №IV-100/ა ან სხვა დოკუმენტი წარადგინოს სადაზღვევო პაკეტით გათვალისწინებული ისეთი მომსახურების მიღებისას, რომელიც არ ითვალისწინებს მათ გაცემას);
 - ბ) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (სალაროს/ტერმინალის შემოსავლის ორდერი, სალაროს/ტერმინალის ქვითარი, ანგარიშგაქტურა);
 - გ) დეტალური განფასება/კალკულაცია (საჭიროების შემთხვევაში);
 - დ) მედიკამენტების შექმნის შემთხვევაში, აფთაიქის მიერ გაცემული შემოსავლის ორდერი, რომელზეც დატანილია შესაბამისი ფარმაცევტული პროდუქტის დასახელება, პროდუქტის რაოდენობა და ერთეულის ღირებულება; ასევე მედიკამენტების საფასურის გადახდის დამადასტურებელი სალაროს ქვითარი;
 - ე) სტომატოლოგიური მომსახურების შემთხვევაში (მხოლოდ არაპროვაიდერი კლინიკის შემთხვევაში), მომსახურებამდე და მომსახურების შემდეგ გადაღებული რენტგენოლოგიური სურათები/ვიზიო;
 - ვ) სადაზღვევო ბარათი (სამედიცინო დაზღვევის პოლისი);
 - ზ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - თ) დაზღვეულის საბანკო რეკვიზიტები ერთჯერადად (ანგარიშის ნომერი).

- 4.12. მზღვეველს უნდა გააჩნდეს თანხის ასანაზღაურებლად საჭირო დოკუმენტაციის ელექტრონულად წარდგენის შესაძლებლობა, რომლის ფარგლებშიც, დოკუმენტაცია მზღვეველს მიეწოდება წინასწარ შეთანხმებული ელექტრონული საშუალების (ელ. ფოსტა, ონლაინ-პორტალი ან მობილური აპლიკაცია) მეშვეობით. სრულყოფილი დოკუმენტაციის ელექტრონულად მიღების შემდეგ, მზღვეველი ვალდებული იქნება აანაზღაუროს დაზღვეულის მიერ მიღებული მომსახურების ღირებულება - ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით დაზღვეულის მიერ მიწოდებულ საბანკო ანგარიშზე.
- 4.13. სრულყოფილი დოკუმენტაციის მიღების შემდეგ, მზღვეველი ვალდებულია 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში აანაზღაუროს დაზღვეულის მიერ მიღებული სამედიცინო მომსახურების ღირებულება (დაზღვევის პოლისით გათვალისწინებული ლიმიტებისა და თანაგადახდის ფარგლებში).

5. ჯანმრთელობის დაზღვევის გამონაკლისები :

- 5.1. სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, შესაბამისი წლის სახელმწიფო ადგილობრივი და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით დაფინანსებული სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამებით განსაზღვრული მომსახურებები, გარდა აღნიშნული პროგრამების ანაზღაურების მიღმა დარჩენილი თანაგადახდის წილისა. ამასთან, თუ დაზღვეული სამედიცინო მომსახურებას მიიღებს ისეთ სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც არ მოქმედებს შესაბამისი სახელმწიფო პროგრამა, მზღვეველი აანაზღაურებს მიღებული სამედიცინო მომსახურების ღირებულებას სრულად, პოლისით გათვალისწინებული ლიმიტისა და თანაგადახდის პირობების მიხედვით;
- 5.2. სახელმწიფო, მუნიციპალური და სხვა სადაზღვევო კომპანიის პოლისით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;
- 5.3. სხეულის განზრახ თვითდაზიანებით და იმ შემთხვევებით გამოწვეული დაავადებების ხარჯები, როდესაც დაზღვეული განზრახ იგდებს თავს საფრთხეში, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ის მოქმედებს სხვისი ან/და თავისი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით;
- 5.4. მკურნალობის ხარჯები, რომელიც საჭირო გახდა დაზღვეულის ომში, აჯანყებაში, სამოქალაქო არეულობაში, ან კრიმინალურ ქმედებაში მონაწილეობის შედეგად;
- 5.5. ნარკომანიის, ტოქსიკომანიის, ალკოჰოლიზმის, ასევე მათი გართულებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ხარჯები;
- 5.6. გონორეის, ათაშანგის, შანკროიდის, ვენერიული გრანულომით გამოწვეული დონოვანოზის გამოკვლევის და მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება (ამასთან, ანაზღაურებას ექვემდებარება პირველადი სასკრინინგო დიაგნოსტიკის ხარჯები, რომელიც მოიცავს ექიმის კონსულტაციასა და ნაცხის ბაქტერიოსკოპიას);
- 5.7. ვირუსულ ჰეპატიტებთან (ამასთან ანაზღაურდება A ჰეპატიტი), აივ-ინფექციასთან, შიდსთან და მათ გართულებებთან დაკავშირებული გამოკვლევისა და მკურნალობის ხარჯები (ამასთან ანაზღაურდება ჰეპატიტის პირველადი სკრინინგი, რომელიც ითვალისწინებს ექიმის კონსულტაციასა და სწრაფ-მარტივ ტესტს);

შენიშვნა : გამონაკლისებში არსებული შეზღუდვის მიუხედავად ბიუროს თანამშრომლებს უნაზღაურდებათ C და B ჰეპატიტის დიაგნოსტიკა PCR მეთოდით, მხოლოდ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაინფიცირების დროს დიაგნოზის დასაზუსტებლად და მხოლოდ ოჯახის ექიმის მიმართვის საფუძველზე მზღვეველის მიერ წინასწარ შერჩეულ კლინიკებში.

- 5.8. ფსიქოტროპული მედიკამენტების (იმ შემთხვევების გარდა, როდესაც იგი დანიშნულია კომბინირებულად სხვა მედიკამენტებთან ერთად, კონკრეტული დაავადების სამკურნალოდ და აღნიშნული დაავადება ფინანსდება წინამდებარე პირობებით), პარასამკურნალო საშუალებების, ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატების (გარდა ვიტამინებისა და სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებულისა) და ჰომეოპათიური საშუალებების (გარდა სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებულისა) შემენასთან დაკავშირებული ხარჯები;
- 5.9. გენეტიკური და თანდაყოლილი დაავადებების/პათოლოგიების/დეფექტების გამოკვლევისა და მკურნალობის ხარჯები (გარდა ურგენტული სტაციონარული და ამბულატორიული შემთხვევებისა და გეგმიური ქირურგიული ოპერაციებისა);
- 5.10. ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მკურნალობის (გარდა F40-F48 კოდებით გათვალისწინებული შემთხვევისა) ხარჯები, ფსიქოთერაპევტის და ლოგოპედის ხარჯები;
- 5.11. კონტრაცეფცია (იმ შემთხვევების გარდა, როდესაც კონტრაცეპტივი დანიშნულია კომბინირებულად სხვა მედიკამენტებთან ერთად, კონკრეტული დაავადების სამკურნალოდ და აღნიშნული დაავადება ფინანსდება წინამდებარე პირობებით), სტერილიზაცია (ან მისი გაუქმება), ფერტილიზაცია, ვაზექტომია, არასამედიცინო ჩვენებით ჩატარებული აბორტი, სქესის შეცვლა,

რეპროდუქციულ ფუნქციასთან, სექსუალურ დისფუნქცია/დისბალანსთან (გარდა პირველადი დიაგნოსტიკისა), ხელოვნურ განაყოფიერებასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯი;

- 5.12. იმუნოზაციის, ვაქცინაციის და ვაქცინის ხარჯები (ამასთან ანაზღაურდება ანტიტეტანური, ანტირაბიული, ბოტულიზმის, ანტიგიურზინის და სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სხვა ვაქცინაციის ხარჯები).
- 5.13. პროფესიული სპორტის სახეობებში ან სპორტსმენის სახით სპორტულ სახეობებში (სპორტულ შეჯიბრში, წვრთნაში, საჩვენებელ გამოსვლაში და სხვა) მონაწილეობისას დამდგარ შემთხვევებთან დაკავშირებული ხარჯები;
- 5.14. ესთეტიკურ-პლასტიკურ ქირურგიასთან, წონის კორექციასთან, ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციასთან დაკავშირებული ხარჯები (ამასთან ანაზღაურდება მხედველობის კორექცია ექსიმერ ლაზერით ბარათით გათვალისწინებული ლიმიტის და თანაგადახდის ფარგლებში).
- 5.15. ეგზო პროთეზების და დამხმარე საშუალებების (სათვალე, კონტაქტური ლინზები, სმენის აპარატი, კომპრესიული გეტრები, ბინტი, შპრიცი, ბამბა, წნევის აპარატი, თერმომეტრი და მსგავსი საშუალებები), პროტეზების (ანაზღაურდება ენდოპროტეზის (მ.შ. თვალის ბროლის) ხარჯები სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში), იმპლანტების (ანაზღაურდება სტენტის და კოილის ხარჯები, სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში) შექმენასთან დაკავშირებული ხარჯები.
- 5.16. ალტერნატიული მედიცინის (აკუპუნქტურა, ჰომეოპათია, მანუალური თერაპია, სუჯოკუთერაპია, და ა.შ.), სანატორიულ-საკურორტო მომსახურების, სარეაბილიტაციო პროცედურების, თვითმკურნალობის ხარჯები (გარდა სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული ფასდაკლებისა).

6. პაკეტი გაწერილი თითოეული სამედიცინო მომსახურება გულისხმობს შემდეგს:

6.1. 24 საათიანი სატელეფონო, საინფორმაციო-საკონსულტაციო საორგანიზაციო მომსახურება:

ითვალისწინებს სადღეღამისო სატელეფონო-საინფორმაციო, საორგანიზაციო კონსულტაციებს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის ან პრობლემის წარმოქმნისას. ამ დროს დაზღვეულს საშუალება ეძლევა მიიღოს სრული და ოპერატიული ინფორმაცია სადაზღვევო პროგრამის, სამედიცინო მომსახურების ორგანიზებისა და კოორდინირების შესახებ. აღნიშნული გულისხმობს დაზღვეულის ჰოსპიტალური და ამბულატორიული მკურნალობის საჭიროების შემთხვევაში, როგორც მკურნალობის პროცესზე და ხარისხზე, ასევე სამედიცინო და ფინანსურ დოკუმენტაციაზე ზედამხედველობის უზრუნველყოფას. პირად ექიმთან ვიზიტის დაგეგმვას და სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის გამოძახებას.

6.2. ოჯახის (პირადი) ექიმის მომსახურება:

აღნიშნული ითვალისწინებს: პირადი ექიმის კონსულტაციებს (მათ შორის, სატელეფონო), დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს და ავადმყოფობის ისტორიის შექმნას, მკურნალობის დანიშვნას, მიმართვის გაცემას პროვაიდერ სააფთიაქო ქსელში და კლინიკებში, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი სპეციალისტების მოწვევას და კონსილიუმის ორგანიზებას, მკურნალობის ტაქტიკის შეთანხმებას კონკრეტული პროფილის სპეციალისტებთან; სხვა ექიმის მიერ გამოწერილი მედიკამენტების რეცეპტის გადაწერა და (მათ შორის პედიატრის) ვიზიტი დაზღვეულის ბინაზე; დაზღვეულისათვის საჭიროების შემთხვევაში საავადმყოფო ფურცლის (ბიულეტენი) გაცემა.

6.3. ჰოსპიტალური (სტაციონარული სამედიცინო) მომსახურების ხარჯები:

ჰოსპიტალური მომსახურება მოიცავს როგორც გადაუდებელი, ასევე გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურებისას სამკურნალო-დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების და მკურნალობის უზრუნველყოფას, (მედიკამენტების, ყველა სახის ოპერაციული მკურნალობა, გარდა ქვეპუნქტში ჩამოთვლილი გამონაკლისებისა - ნებისმიერი გაუტკივარებით დაზღვეულის არჩევით) მოვლის და ყველა სხვა აუცილებელი ღონისძიებების ხარჯების ანაზღაურებას (მათ შორის პარენტერალური და ენტერალური კვების, სტანდარტული, რეანიმაციული და/ან ინტენსიური პალატის), საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ ლიცენზირებულ საავადმყოფოში შესაბამისი სამედიცინო ჩვენების არსებობისას, სამედიცინო მომსახურებას დაზღვეულის 24 სთ და მეტი ხნით განთავსების შემთხვევაში.

მომსახურება მოიცავს ყველა სახის დაავადების (გარდა გამონაკლისებით განსაზღვრული შემთხვევებისა) მკურნალობის ხარჯებს თავისუფალი არჩევანის პრინციპის დაცვით, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე

არსებულ ნებისმიერ ლიცენზირებულ დაწესებულებაში (საავადმყოფოში) დაზღვეულის 24 სთ და მეტი ხნით განთავსების შემთხვევაში. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მზღვეველი ვალდებულია დაზღვეულის მოთხოვნისთანავე (1 სამუშაო დღეში) გასცეს საგარანტიო ფურცელი არა პროვაიდერ კლინიკაში წარსადგენად, თუ არაპროვაიდერი კლინიკა თანახმა იქნება მიიღოს საგარანტიო ფურცელი. გადაუდებელი შემთხვევის დროს დაზღვეულს არ მოეთხოვება საგარანტიო ფურცლის წარდგენა. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, თუ დაზღვეული მიმართავს პროვაიდერ (კონტრაქტორ) სამედიცინო დაწესებულებას, სადაზღვევო პოლისისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე, იხდის სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებულ მხოლოდ მის წილ თანხას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

არაპროვაიდერ სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონალური მომსახურებისათვის მიმართვისას, დაზღვეული თავისი სურვილისამებრ წარადგენს საგარანტიო ფურცელს (თუ არაპროვაიდერი კლინიკა თანახმა იქნება მიიღოს საგარანტიო ფურცელი) ან/და თვითონ გადაიხდის შესაბამის მომსახურების თანხას სრულად და სათანადო დოკუმენტაციის მზღვეველთან წარდგენის შემდეგ აუნაზღაურდება თანხა, ტექნიკური დოკუმენტაციის პირობის შესაბამისად.

6.3.1. ჰოსპიტალური მომსახურება მოიცავს:

6.3.1.1. ჰოსპიტალურ მომსახურებას უბედური შემთხვევის გამო - რომელიც ითვალისწინებს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მხოლოდ გარეშე ძალის (ფიზიკური, მექანიკური, თერმული, ქიმიური) ზემოქმედების შედეგად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებული იმ ღონისძიებების ერთობლიობის დაფინანსებას, რომლის დროში გადავადების პირობებში გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი ან მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება და რომლის დროსაც დაზღვეულის დაყოვნება კლინიკაში სამედიცინო ჩვენებით შეადგენს 24 სთ-ს და მეტს.

6.3.1.2. გადაუდებელ ჰოსპიტალურ მომსახურებას - რომელიც ითვალისწინებს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებიდან გამომდინარე იმ ღონისძიებების ერთობლიობის (მათ შორის სტენტირების) დაფინანსებას, რომლის დროში გადავადების პირობებში, გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი ან მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება და რომლის დროსაც დაზღვეულის დაყოვნება კლინიკაში სამედიცინო ჩვენებით შეადგენს 24 სთ-ს და მეტს.

6.3.1.3. გეგმიურ ჰოსპიტალურ მომსახურებას - რომელიც ითვალისწინებს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების ღირებულების (მათ შორის სტენტირების) დაფინანსებას, რომელიც ანაზღაურებადია წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულების პირობებით/გამონაკლისებით და არ ხვდება ონკოლოგიისა და დღის ჰოსპიტალური მომსახურების ჩამონათვალში და რომლის დროსაც დაზღვეულის დაყოვნება კლინიკაში სამედიცინო ჩვენებით აღემატება 24 საათს.

